დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება

განკარგულება:**g-109. 109223264**
თარიღი:**22/11/2022**

დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ქონების (არასაცხოვრებელი ფართი) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' 61-ე მუხლის მე-2-ე პუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ'' ქვეპუნქტის, 6-ე პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლისა და დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის მ/წ 08 ნოემბრის №108-1082231246 წერილის შესაბამისად, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. მიეცეს თანხმობა დმანისის მუნიციპალიტეტის მერს, დმანისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება- დმანისის სოფელ ქვემო ოროზმანში მდებარე შენობიდან (ს/კ 82.14.44.300.02.500) 52,54 კვ.მ ფართი და სოფელ გომარეთში მდებარე შენობიდან (ს/კ 82.05.41.513) 33,19 კვ.მ ფართი, გადასცეს უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით 2 (ორი) წლის ვადით ა(ა)იპ -,,საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგს''.

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბოლნისი სულხან საბას ქ. N113).

პაატა ყულიაშვილი

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი